რეფორმეტრი

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმის პროგრესის შეფასებითი ანგარიში

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

დეკემბერი, 2023

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის საგრანტო აქტივობა: რეფორმების პროგრესის მონიტორინგის სისტემა „რეფორმეტრის“ მხარდაჭერა

შენიშვნა: *წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. ანგარიშის შინაარსი შესაძლოა არ წარმოადგენს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.*

სარჩევი

SME განვითარების რეფორმის შესახებ....3

რეფორმეტრის მეთოდოლოგია....3

რეფორმის განხორციელების პროგრესის შეფასება....4

დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა....8

საჯარო-კერძო დიალოგი....8

SME განვითარების რეფორმის შეფასების ინდიკატორები....12

1. სამიზნე მაჩვენებლები....13
2. სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებების გავლენის ინდიკატორები....16
3. SME რეფორმის პროგრესის შეფასების ზოგადი ინდიკატორები....21

დანართი N1. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი....25

დანართი N2. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმის საჯარო-კერძო დიალოგზე წარმოდგენილი პრეზენტაციები....26

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმის შესახებ

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმის *(შემდეგში „SME რეფორმის“[1])* პროგრესის შეფასება დაკავშირებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიითა და შესაბამისი სამოქმედო გეგმებით განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებთან. სტრატეგია მიზნად ისახავს პანდემიამდე არსებული დადებითი ტენდენციების აღდგენას და მცირე და საშუალო მეწარმეობის შემდგომი განვითარების ხელშეწყობას.

სტრატეგია მოიცავს 7 ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას, მათ შორის:

1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება;
2. უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
4. ექსპორტის ზრდისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობა;
5. გაციფრულების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა;
6. ქალთა მეწარმეობის განვითარება;
7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

SME განვითარების სტრატეგიის განხორციელების პროცესში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, ჩართულია სააგენტო „აწარმოე საქართველოში", ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სოფლის განვითარების სააგენტო, სავაჭრო-სამრეწველო პალატა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ბიზნეს ომბუდსმენის აპარატი, კონკურენციის ეროვნული სააგენტო, ეროვნული ბანკი, საქსტატი და სხვა უწყებები.

რეფორმეტრის მეთოდოლოგია

„რეფორმეტრის“ ფარგლებში, შერჩეული რეფორმების შეფასებისათვის გამოყენებულია სამი ძირითადი ინსტრუმენტი:

1. სამთავრობო კვლევა ხარისხობრივი გამოკითხვის გზით აფასებს რეფორმის განხორციელების პროცესში რეფორმის დამნერგავი სამთავრობო უწყებების საქმიანობას ოთხი ძირითადი მიმართულებით: საკანონმდებლო ჩარჩო; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი; ინსტიტუციური მოწყობა; კომპეტენციის გაძლიერება. აღნიშნული გამოკითხვა 0-100% შუალედში ზომავს, რამდენად ახლოს არიან რეფორმის დამნერგავი უწყებები რეფორმის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებასთან.

2. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ფარგლებში რეფორმის დაინტერესებული მხარეები შეფასებას ოთხი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ: რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა; რეფორმის სფეროში არსებული ვითარება; რეფორმის დანერგვაში მიღწეული

[1] ინგლ. Small and medium-sized enterprise (SME)

პროგრესი; რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. თითოეული კომპონენტი 10 ქულიან შკალაზე ფასდება (იხ. დანართი N1 - დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი).

3. დამატებით, რეფორმის პროგრესის შესაფასებლად გამოყენებულია რეფორმის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული ეკონომიკური ინდიკატორები.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმის შეფასება მოიცავს ზემოთ ხსენებულ სამივე მიმართულებას. მეთოდოლოგიით განსაზღვრული სამთავრობო კვლევა ეყრდნობა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021-2022 წლების და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პროგრესს.

დაინტერესებული მხარეების მიერ რეფორმის შეფასება 2023 წლის 17 ნოემბერს, საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ფორმატში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმის პირველ შეფასებით შეხვედრაზე გაიმართა.

რეფორმის მოსალოდნელი შედეგების შეფასებისთვის გამოყენებული ეკონომიკური ინდიკატორები იდენტიფიცირებულია სტრატეგიაში განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლებისა და გავლენის ინდიკატორების საფუძველზე. ასევე, შეფასების პროცესში გამოყენებულია სექტორის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა მაჩვენებლებიც.

რეფორმის განხორციელების პროგრესის შეფასება

რეფორმის მიმდინარეობის პროგრესის შეფასების მიზნით, რეფორმის ფარგლებში განხორციელებული და სამომავლო აქტივობები მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმების საფუძველზე განისაზღვრა. რეფორმით განსაზღვრული აქტივობები დაჯგუფებულია 7 პრიორიტეტული მიმართულებისა და 42 ამოცანის მიხედვით.

2021-2022 და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობებისა და სამთავრობო კვლევის ნაწილში განსაზღვრული რეფორმის შეფასების ოთხი ძირითადი კომპონენტის გათვალისწინებით, რეფორმის პროგრესის შეფასებისათვის იდენტიფიცირებულია 188 აქტივობა, რომელიც განაწილებულია ინსტიტუციური მოწყობის, კომპეტენციების გაძლიერების, ინფრასტრუქტურისა და ბიუჯეტის და სამართლებრივი ჩარჩოს კატეგორიებში. რეფორმის მიმდინარეობის პროგრესი შეფასებულია 2021 და 2022 წლების სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებისა და რეფორმის განმახორციელებელი უწყებების წარმომადგენლების მიერ სტრატეგიის განხორციელების შეფასების საფუძველზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამთავრობო კვლევის ოთხი მიმართულებით დაჯგუფებული აქტივობების განხორციელების სტატუსის შეჯამება.

ცხრილი 1. SME განვითარების რეფორმის მიმდინარეობის პროგრესი

სამთავრობო კვლევის კომპონენტი	დასრულებული აქტივობები	მიმდინარე აქტივობები *	სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები	სულ
სამართლებრივი ჩარჩო	5	13	3	21
ინსტიტუციური მოწყობა	15	19	9	43
ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი	5	27	9	41
კომპეტენციების გაძლიერებ	18	35	30	83

** მიმდინარე აქტივობებში გათვალისწინებულია, როგორც ყოველწლიურად განხორციელებადი აქტივობები (მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამები), ასევე, ის აქტივობები, რომლებიც დაწყებულია, თუმცა ჯერ ბოლომდე არ არის დასრულებული.*

რეფორმის პროგრესის შეფასებამ აჩვენა, რომ SME განვითარების რეფორმა, სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, დროულად ხორციელდება.

2021-2022 წლებში სამართლებრივი ჩარჩოს კომპონენტში, აღსანიშნავია შემდეგი განხორციელებული და მიმდინარე ცვლილებები:

- გირავნობის საგნის გაფართოების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია და ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი;
- ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით დამტკიცდა შემდეგი აქტები: „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“, „ენერგოეფექტურობის შესახებ“, „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „ენერგოეტიკეტირების შესახებ“. ამასთან, აღნიშნული კანონების ფარგლებში მომზადდა კანონქვემდებარე აქტები;
- SME სექტორისათვის დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარების მიზნით, შემუშავების პროცესშია არაერთი მარეგულირებელი დოკუმენტი, მათ შორის: ფაქტორინგის შესახებ კანონპროექტი; კერძო/ვენჩერული კაპიტალის ფონდების მექანიზმები; უზრუნველყოფილი ტრანზაქციების რეფორმის სამართლებრივი ჩარჩო; ლიზინგთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილები და სახალხო დაფინანსების სამართლებრივი ჩარჩო.

სამთავრობო კვლევის მეორე კომპონენტი, რომელიც ინსტიტუციურ განვითარებაზეა მიმართული, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციურ გაძლიერებას, სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარებას, პოლიტიკის შემუშავების პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფას, სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესებას, პროფესიული განათლების სისტემის, შრომის ბაზრისა და სხვა

სფეროების განვითარებას მოიცავს. განხორციელებულ და მიმდინარე აქტივობებს შორის ხაზგასასმელია:

- მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების განახლება. 2022 წელს „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ შეიქმნა ახალი ექსპორტის მხარდაჭერის პროგრამა, ასევე განახლდა 3 არსებული პროგრამა;
- „აწარმოე საქართველოში” სააგენტოს მიერ შემუშავდა გავლენის შეფასების ჩარჩო, რომლის საფუძველზეც განხორციელდა სააგენტოს მხარდაჭერის პროგრამების გავლენის შეფასება;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის საჭიროებათა სექტორული კვლევები, სამუშაო ძალასა და უნარებზე როგორც არსებული, ისე სამომავლო მოთხოვნის შესწავლის მიზნით;
- ადამიანურ კაპიტალზე საწარმოების მოთხოვნის გამოვლენის მიზნით, მომზადდა უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავდა განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების 2021-2025 წწ. სტრატეგიის პროექტი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარეობს მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის მოდელის პილოტირება და პროფესიული განათლების სისტემაში დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა;
- რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) SME ტესტის სისტემის განვითარებისათვის შემუშავდა შესაბამისი კონცეფცია და იგეგმება ნორმატიული აქტის პროექტზე RIA SME ტესტის საპილოტე გამოყენება.

მესამე კომპონენტში ინფრასტრუქტურისა და ბიუჯეტის მიმართულებით განხორციელებული აქტივობებია გაერთიანებული. იმის გათვალისწინებით, რომ ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი რეფორმის ფარგლებში განსაზღვრული SME დაფინანსების პროგრამების განხორციელებას მოიცავს, ის რეფორმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. 2021-2022 წლებში განხორციელდა არაერთი მხარდაჭერის პროგრამა, რომლის გაგრძელება 2023-2025 წლების პერიოდშიც იგეგმება. ამ მიმართულებით აღსანიშნავია:

- „აწარმოე საქართველოში” პროგრამების ფარგლებში განხორციელდა სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება, საკრედიტო-საგარანტიო სქემის სესხებზე გარანტიების გაცემა, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი და ექსპორტის ხელშეწყობის გრანტების გაცემა;
- სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარებმა ისარგებლეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის, აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების, თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობის, პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის, სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებისა და სხვა პროგრამებით;
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამების ფარგლებში განხორციელდა 650,000 ლარიანი ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების, 150,000

ლარიანი სტარტაპების თანადაფინანსების გრანტების და მცირე 15,000 ლარიანი გრანტების პროგრამები.

SME განვითარების რეფორმის პროგრესის შეფასების სამთავრობო კვლევის მეოთხე კომპონენტი რეფორმის ფარგლებში კომპეტენციების გაძლიერებაზე მიმართულ ღონისძიებებს მოიცავს, მათ შორის:

- „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსის ჩატარება;
- 3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის განხორციელება;
- მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა;
- სამიზნე რეგიონში მოსახლეობის და საწარმოების ციფრული საჭიროებების შეფასების კვლევა;
- კერძო სექტორის ტრენინგები კონკურენციის, შრომის უსაფრთხოების, ელ. კომერციის და სხვა საკითხებზე;
- SME-ს მხარდამჭერი უწყებების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება.

სამთავრობო კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ რეფორმის 49.7% შესრულებულია. შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 56.8%, ინსტიტუციური მოწყობის კომპონენტში დაფიქსირდა, ასევე, მაღალია სამართლებრივი ჩარჩოს მიმართულებით დაგეგმილი აქტივობებისა და ინფრასტრუქტურისა და ბიუჯეტის აქტივობების პროგრესის მაჩვენებლები. შედარებით დაბალი მაჩვენებელი კომპეტენციების გაძლიერების მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მაჩვენებელში გამოიკვეთა.

დიაგრამა 1. სამთავრობო კვლევის შედეგები[2]



[2] რეფორმის პროგრესის შეფასების ოთხ მიმართულებას მიენიჭა შესაბამისი წონები, თითოეული განზომილების ქვეშ მოაზრებული აქტივობების სიმრავლის და სირთულის გათვალისწინებით. წონები გადანაწილდა შემდეგგვარად: სამართლებრივი ჩარჩო - 20%; ინსტიტუციური მოწყობა - 25%; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი - 35%; კომპეტენციების გაძლიერება - 20%.

დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა

SME განვითარების რეფორმაზე გამართულ საჯარო და კერძო დიალოგის შეხვედრაზე დაინტერესებული მხარეების (რეფორმის განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების გარდა) ანონიმური გამოკითხვის საფუძველზე, რეფორმა **10 ქულიდან 6.76 ქულით** შეფასდა, რაც შეხვედრის მონაწილეების მიერ რეფორმის მიმდინარეობის დადებით შეფასებაზე მიუთითებს.

დიაგრამა 2-ზე წარმოდგენილია დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა, რეფორმის პროგრესი და მოსალოდნელი შედეგები დადებითად შეფასდა. არსებული ვითარების მიმართულებით კი ზომიერი შეფასება დაფიქსირდა.

დიაგრამა 2. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმის შეფასებაზე



საჯარო-კერძო დიალოგი

2023 წლის 17 ნოემბერს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმის შესახებ პირველი საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, საქსტატის, პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის, საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის აპარატის, სოფლის განვითარების სააგენტოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციის (SMEDA), საქართველოს სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების ფედერაციის, საქართველოს საბანკო ასოციაციის, კრისტალის, UNDP-ს, B2C.ge-ს, PMCG-ს, USAID-ის ფინანსური ინოვაციების პროგრამისა და USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის წარმომადგენლებმა.

ღონისძიების გახსნითი ნაწილის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსმა, ცისნამი

საბაძემ, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის პროგრესის შესახებ ისაუბრა. 2021-2022 წლებში განხორციელებული აქტივობების განხილვისას, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა RIA SME ტესტის ინსტრუმენტის დანერგვის, დავების ეფექტიანი გადაწყვეტის, ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე - my.gov.ge სერვისების განვითარების, გადახდისუუნარობის მარეგულირებელი ჩარჩოს ცვლილებების, უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის განხორციელების, ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგიის შემუშავების, ახალი საექსპორტო პროგრამისა და SME მხარდაჭერის არსებული პროგრამების განახლების, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სხვა აქტუალური ინიციატივების მნიშვნელობაზე.

„რეფორმეტრის“ გუნდმა SME განვითარების რეფორმის მიმდინარე და სამომავლო აქტივობები და პროგრესის შეფასების ინდიკატორები წარადგინა.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ წარმომადგენელმა სააგენტოს მხარდამჭერი პროგრამების გავლენის შეფასების შედეგები განიხილა. მომხსენებელმა ისაუბრა მიკრო გრანტების პროგრამის, სესხის პროცენტის სუბსიდირების პროგრამის, საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმისა და ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის შედეგებზე. მიკრო გრანტების პროგრამის გავლენის შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის ბენეფიციარებში დასაქმების მაჩვენებელი 43%-ით გაიზარდა, კომპანიების გადარჩენის მაჩვენებელმა 85% შეადგინა, ხოლო ბენეფიციართა პროდუქტიულობა 19%-ით გაიზარდა. სესხის პროცენტის სუბსიდირების პროგრამების შეფასების შედეგების მიხედვით, სააგენტოს შეფასებით, მათ მიერ 1 ლარის თანადაფინანსების შედეგად შემოსავლების ნამატმა 14 ლარი შეადგინა, მთლიან შიდა პროდუქტში კონტრიბუციამ - 4.2 ლარი, ხოლო ერთი წლის განმავლობაში ბიუჯეტში გადასახადებმა - 1.5 ლარი. საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმის გავლენის შეფასებისას, ყურადღება SME სექტორისა და სააგენტოს ბენეფიციარებს შორის არსებულ განსხვავებებზე გამახვილდა. შედეგების მიხედვით, სააგენტოს ბენეფიციარებში უფრო მაღალი შემოსავლებისა და აქტივების ზრდა, ასევე უფრო მაღალი EBITDA მარჟა და სესხის აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი დაფიქსირდა. ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის განხილვისას, გამოიკვეთა, რომ დაფინანსების მიღების შემდეგ ბენეფიციარი კომპანიების ექსპორტის მოცულობა 30 პროცენტით არის გაზრდილი ამასთანავე, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სააგენტო ექსპორტის მხარდაჭერის პროგრამის ყოვლისმომცველი შეფასებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის განხორციელებას გეგმავს.

შეხვედრის დისკუსიის ნაწილში, SME განვითარების რეფორმის დაინტერესებულმა მხარეებმა სექტორში არსებული მდგომარეობა, რეფორმის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები, ასევე რეფორმის შედეგების შეფასების გაუმჯობესების გზები განიხილეს. ანგარიშის მოცემულ ნაწილში შეჯამებულია PPD ღონისძიებაზე გამოთქმული მოსაზრებები:

- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციის (SMEDA) აღმასრულებელმა დირექტორმა, გიგა ფაიქიძემ, აღნიშნა, რომ საქსტატის მცირე და საშუალო მეწარმეობის განმარტება არ შეესაბამება საქართველოს SME სექტორში არსებულ მდგომარეობას. მისი მოსაზრებით, მცირე კატეგორიის საწარმოსთვის 12 მილიონიანი, ხოლო საშუალო საწარმოსთვის 60 მილიონიანი ბრუნვის მაჩვენებელი, აღემატება ბაზარზე მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვის მაჩვენებლებს. გამომსვლელმა საქსტატის კრიტერიუმები

SARAS-ის კრიტერიუმებთან შეადარა და განაცხადა, რომ მიზანშეწონილია მცირე და საშუალო მეწარმეობის სტატისტიკის წარმოების პროცესში ერთიანი მიდგომის გამოყენება. მომხსენებლის განცხადებით, SME-ის სტატისტიკის წარმოების პროცესში SARAS-ის განმარტების გამოყენება, ნათელს გახდის მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების რეალურ დინამიკას და მსხვილი საწარმოების განვითარების დინამიკასთან შედარებით არსებულ განსხვავებებს. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება საჯარო და კერძო დიალოგის სხვა მონაწილეებმაც გაამახვილეს. კერძო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საბანკო სექტორის, საქსტატისა და SARAS-ის მიერ SME-ის განსხვავებული კატეგორიზაციის გამოყენება დამაბნეველია. მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი განმარტებების ჰარმონიზაციის საჭიროებას, ოფიციალური სტატისტიკის გაუმჯობესებისა და სამიზნე მაჩვენებლების სწორი შეფასებისთვის. აღნიშნულ საკითხზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადებით, საქსტატის SME-ის განმარტება 2017 წელს ევროსტატის მეთოდოლოგიის შესაბამისად შემუშავდა და აღნიშნული განმარტების განახლება, სულ მცირე, 2027 წლამდე არ იგეგმება.

- კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დაინტერესებულმა მხარეებმა საჯარო და კერძო დიალოგის დროს განიხილეს, SME განვითარების პროგრესის შეფასების ინდიკატორებს ეხებოდა. „რეფორმეტრის“ გუნდმა პრეზენტაციისას ხაზი გაუსვა ნომინალურ გამოხატულებაში სამიზნე ინდიკატორების განსაზღვრასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სტრატეგიით 2025 წლისათვის განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლები SME-ის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულებისა და მწარმოებლურობის მიმართულებით უკვე მიღწეულია. დაინტერესებული მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2019 წლის შემდეგ დაფიქსირებული ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი, მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების, მათი ბრუნვისა და გამოშვების დინამიკის ნომინალურ გამოხატულებაში ანალიზთან ერთად, რეალური ზრდის მაჩვენებლებით შეფასებასაც საჭიროებს. მხარეებმა სექტორის ეკონომიკური განვითარების ინდიკატორების დადგენის მეთოდოლოგიის ცვლილების და უფრო მაღალი სამიზნეების განსაზღვრის საკითხებიც განიხილეს. აღნიშნულ საკითხზე, ეკონომიკის სამინისტრომ განაცხადა, რომ სტრატეგიის შემუშავების პროცესში, საბაზისოდ 2020 წლის ნაცვლად, 2019 წლის მაჩვენებლების გამოყენება ამბიციურ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, პანდემიის უარყოფითი გავლენების გათვალისწინებით. ამასთანავე, სამინისტრომ აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის სამიზნე მაჩვენებლების ცვლილება არ იგეგმება.
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამების გავლენის შეფასების შედეგების საკითხთან დაკავშირებით, დიალოგის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია პროგრამების გავლენების ანალიზი ცალკე მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის. დამატებით, მონაწილეებმა განიხილეს SME-ს განვითარების შეფასების გაუმჯობესების გზები, მათ შორის, შეფასების მეთოდოლოგიაში არაეფექტური ინვესტიციების განხორციელებაში დაკარგული თანხებისა და ბიზნეს პროცესების არასწორი წარმართვის შედეგების გათვალისწინებაც.
- „კრისტალის“ წარმომადგენელმა ყურადღება „აწარმოე საქართველოში“ პროგრამებში ლიზინგის კომპონენტის შემდგომი განვითარების საჭიროებაზე გაამახვილა. მიუხედავად

იმისა, რომ ლიზინგის თანადაფინანსება გათვალისწინებულია სააგენტოს სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების პროგრამაში, მისი წილი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სესხის კომპონენტში გაცემული თანადაფინანსების მოცულობას.

- დისკუსიის შემდეგ ნაწილში, მხარეებმა პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა განიხილეს. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების განხორციელება არ არის საკმარისი საქართველოში პროფესიული განათლების დარგის განვითარებისათვის და საჭიროა ეფექტიანი ზომების შემუშავება სამეწარმეო უნარების განვითარების მიმართულებით. საჯარო და კერძო დიალოგის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ განხორციელებული აქტივობების რაოდენობების წარდგენის ნაცვლად, საჭიროა მათი ეფექტიანობის გაზომვა.
- პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, სააგენტოს მიზანი, საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე, კერძო სექტორის საჭიროებებზე დაფუძნებული უნარების განვითარების ხელშეწყობაა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ეკონომიკის 10 სექტორში ჩამოყალიბებულ დარგობრივი უნარების ორგანიზაციების (დუო) მნიშვნელობას. დუო-ს მიზანია პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლების მონაწილეობით დარგობრივი პრიორიტეტებისა და მიმართულებების განსაზღვრა, შრომის ბაზართან სტუდენტების უნარებისა და კომპეტენციების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სააგენტოს მიერ დუალური პროგრამების განვითარების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებზე.
- დაინტერესებულმა მხარეებმა საჯარო და კერძო სექტორებს შორის უფრო აქტიური დიალოგის საჭიროებაზეც გაამახვილეს ყურადღება. საბანკო ასოციაციის წარმომადგენელმა, დავით რუსიამ, ხაზი გაუსვა ცნობიერების ამაღლების საჭიროებას და კომერციული ბანკების, სამთავრობო სექტორის და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მიმართული ორგანიზაციების მონაწილეობით ერთობლივი სამუშაო შეხვედრის ორგანიზების მიზანშეწონილობაზე ისაუბრა.
- საჯარო და კერძო დიალოგის მონაწილეებმა, ასევე განიხილეს რეფორმის პროგრესის შეფასების პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. მხარეებმა რეფორმის შედეგების ინდიკატორებში რეგიონულ დონეზე SME პროდუქტიულობის ინდიკატორის გათვალისწინების საჭიროებაზე ისაუბრეს, რაც მნიშვნელოვანია საქართველოში კერძო სექტორის განვითარების მიმართულებით რეგიონული განსხვავებების იდენტიფიცირებისათვის. დამატებით, PMCG-ს წარმომადგენელმა, ნიკა კაპანაძემ, რეგიონებში საკონსულტაციო ცენტრების (Growth Hubs) შექმნის მნიშვნელობასა და სტრატეგიის შედეგების შეფასების პროცესში აღნიშნული მიმართულების გათვალისწინების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

SME განვითარების რეფორმის შეფასების ინდიკატორები

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმის პროგრესის შეფასების მიზნით, „რეფორმეტრის“ გუნდის მიერ შერჩეული ინდიკატორები მოიცავს SME განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლებს, პრიორიტეტული მიმართულებების გავლენის ინდიკატორებსა და სექტორის პროგრესის ამსახველ სხვა მაჩვენებლებს. რეფორმის პროგრესის ინდიკატორებზე დაკვირვებისათვის საჭირო მონაცემები მოძიებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ეროვნული ბანკის წყაროებიდან. ინდიკატორების პირველი ნაწილი სტრატეგიაში განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლებს უკავშირდება, მეორე ნაწილი სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში შესაბამისი პრიორიტეტული მიმართულებების შედეგების შეფასებისათვის განსაზღვრულ გავლენის ინდიკატორებს მოიცავს, ხოლო მესამე ნაწილში „რეფორმეტრის“ გუნდის მიერ სექტორის განვითარების ამსახველი დამატებითი ინდიკატორებია წარმოდგენილი.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის ეფექტიანი იმპლემენტაციის შედეგების შესაფასებლად, სტრატეგიაში 2025 წლისათვის მისაღწევი სამიზნე მაჩვენებლები არის განსაზღვრული. აღნიშნული მაჩვენებლების შეფასებისთვის საბაზისო წლად კი 2019 წელია მითითებული.

2019-2022 წლებში მცირე და საშუალო საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების მიმოხილვის შედეგად ვლინდება, რომ 2019 წელთან შედარებით SME-ის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება 32 პროცენტით, მწარმოებლურობა 39 პროცენტით, ხოლო ბრუნვა 29 პროცენტით არის გაზრდილი (ცხრილი 1).

სტრატეგიის მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოების ეკონომიკური განვითარების ტენდენციების მაჩვენებელები ნომინალურ გამოხატულებაშია წარმოდგენილი. რეალური ზრდის შეფასების მიზნით, ცხრილში ფასების ცვლილების მაჩვენებელი - მშპ დეფლატორიც არის მოცემული. მშპ-ს დეფლატორის მიხედვით, ინფლაციამ 29% პროცენტი შეადგინა, რაც ამ პერიოდში საწარმოების ეკონომიკური მაჩვენებლების ძალიან დაბალი რეალური ზრდის მანიშნებელია.

ცხრილი 1. მცირე და საშუალო საწარმოების სტატისტიკის მიმოხილვა

ინდიკატორი	ცვლილება 2019-2022
დამატებული ღირებულება	32%
მწარმოებლურობა	39%
ბრუნვა	29%
ინფლაცია (მშპ-ს დეფლატორის მიხედვით, 2019)	29%
დასაქმება	- 5%

დამატებით, ხაზგასასმელია, რომ სტრატეგიაში განსაზღვრული სამიზნე 2025 წლის მაჩვენებლები არაერთი მიმართულებით უკვე მიღწეულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შეიძლებოდა უფრო ამბიციური მიზნების დასახვა. შედარებით დაბალი სამიზნე ინდიკატორების

შემუშავება, სავარაუდოდ COVID-19 ზემოქმედებასთან დაკავშირებული გაურკვევლობების გათვალისწინებით მოხდა. ხაზგასასმელია, რომ პანდემიამ და მისგან გამომდინარე შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიზნესის განვითარებაზე. 2020 წელს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, მცირე და საშუალო საწარმოთა დასაქმების 10 პროცენტიანი, ბრუნვის 2 პროცენტიანი, ხოლო გამოშვების 1 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა.

1. სამიზნე მაჩვენებლები

ანგარიშის მოცემულ თავში SME განვითარების სამიზნე ინდიკატორებია განხილული, რაც მოიცავს 2015-2022 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულების, დასაქმებულთა რაოდენობისა და მწარმოებლურობის მაჩვენებლების ტენდენციების შეფასებას.

გრაფიკი 1-ში წარმოდგენილია მცირე და საშუალო მეწარმეობის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების მაჩვენებლები. 2019 წელს ბიზნეს სექტორში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 23.3 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოების დამატებულმა ღირებულებამ ნომინალურ გამოხატულებაში - 13.8 მილიარდი ლარი. 2019 წელს SME-ის წილი ბიზნეს სექტორის მთლიანი დამატებული ღირებულების 59 პროცენტს გაუტოლდა. 2022 წლისათვის, SME-ს ნომინალური დამატებული ღირებულება 18.2 მილიარდამდე გაიზარდა, თუმცა სექტორის წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში, ბიზნეს სექტორში შექმნილი ღირებულების 36.1 მილიარდამდე ზრდის საფუძველზე, 50 პროცენტამდე შემცირდა.

სტრატეგიით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლის მიხედვით, 2025 წლისათვის SME-ს დამატებული ღირებულების 20-პროცენტიანი ზრდა არის გათვალისწინებული. ნომინალურ გამოხატულებაში, ეს მაჩვენებელი 16.6 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც ამ ეტაპისთვის უკვე მიღწეულია.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოები ბიზნეს სექტორის ძირითად ნაწილს შეადგენენ, ისინი უფრო დაბალი დამატებული ღირებულების სექტორებში ოპერირებენ, როგორიცაა, მაგალითად, ვაჭრობა ან მომსახურება, რაც, შესაბამისად, მთლიან მაჩვენებლებში SME სექტორის შედარებით დაბალ წილში ვლინდება.

გრაფიკი 1. მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)



წყარო: საქსტატი

მეორე სამიზნე ინდიკატორი მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმების მაჩვენებლების ზრდასთან არის დაკავშირებული. SME სექტორის სხვა მაჩვენებლებისგან განსხვავებით, მცირე ზომის საწარმოები ბიზნეს სექტორში დასაქმების ერთ-ერთ უმსხვილეს წყაროს წარმოადგენენ. გრაფიკი 2-ის მიხედვით იკვეთება, რომ 2019 წელს მცირე საწარმოებში 339 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული, რაც მთლიანი დასაქმების 45 პროცენტს შეადგენდა. 2022 წლისათვის ეს მაჩვენებელი 8 პროცენტით შემცირდა და 310 ათასი ადამიანი შეადგინა. 2019 წელს საშუალო ზომის საწარმოების მიერ დასაქმებულთა რაოდენობამ 152 ათასი, ხოლო 2022 წელს 158 ათასი შეადგინა, რაც 4%-იან ზრდას წარმოადგენს. 2019-2022 წლებში ყველაზე მაღალი, 17-პროცენტიანი ზრდა მსხვილი საწარმოების შემთხვევაში ფიქსირდება.

სტრატეგიის მიხედვით, 2025 წლის სამიზნე მაჩვენებელს, 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით დასაქმების 10 პროცენტიანი ზრდა წარმოადგენს, რაც ამ ეტაპისთვის არ არის მიღწეული. 2019-2022 წლებში, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის 5 პროცენტიანი შემცირება ფიქსირდება. მნიშვნელოვანია, ასევე აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში, მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან დასაქმებაში 65 პროცენტიდან 60 პროცენტამდე შემცირდა. მცირე და საშუალო საწარმოების დასაქმების მაჩვენებლების ნეგატიური ტენდენცია 2020 წელს, პანდემიის გავრცელების შემდეგ დაიწყო, როდესაც დასაქმება 2019 წელთან შედარებით 10 პროცენტით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ 2019-2022 წლებში მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა არ აღდგენილა.

გრაფიკი 2. მცირე და საშუალო საწარმოთა დასაქმებულთა რაოდენობა



წყარო: საქსტატი

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების კიდევ ერთ ზოგად ინდიკატორს მწარმოებლურობა წარმოადგენს. საწარმოთა მწარმოებლურობა სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულებისა და დასაქმებულთა რაოდენობის შეფარდებით გამოითვლება.

მესამე გრაფიკში მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების მწარმოებლურობაა წარმოდგენილი, რომლის მიხედვითაც იკვეთება, რომ მსხვილი და საშუალო საწარმოების მაჩვენებლები, მკვეთრად აღემატება მცირე მეწარმეობის მაჩვენებელს. ასევე ხაზგასასმელია, რომ მსხვილი საწარმოების შემთხვევაში მწარმოებლურობის 61-პროცენტიანი ზრდა, ხოლო მცირე და საშუალოს შემთხვევაში, შესაბამისად, 36 და 37-პროცენტიანი ზრდა ფიქსირდება.

გრაფიკი 3. მწარმოებლურობა საწარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: საქსტატი

2022 წლისათვის, SME-ს მწარმოებლურობა 28 ათასი ლარიდან 39 ათას ლარამდე გაიზარდა, მათ შორის საშუალო ზომის მეწარმეობის მწარმოებლურობამ 53 ათას ლარს, ხოლო მცირე მეწარმეობის მწარმოებლურობამ თითქმის 32 ათას ლარს მიაღწია. 2020-2021 წლებში ზრდის ტემპის შემცირების შემდეგ, 2022 წელს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 22 პროცენტიანი ზრდა იკვეთება (გრაფიკი 4).

სტრატეგიის მიხედვით, სამიზნე მაჩვენებლად 2025 წლისათვის, 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით, მცირე და საშუალო მეწარმეობის მწარმოებლურობის 20 პროცენტიანი ზრდა არის განსაზღვრული. იმის გათვალისწინებით, რომ 2019-2022 წლების პერიოდში SME მწარმოებლურობა 39 პროცენტით გაიზარდა, სექტორმა ნომინალურ გამოხატულებაში სამიზნე ნიშნულს 2022 წელს გადააჭარბა.

გრაფიკი 4. მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობა



წყარო: საქსტატი

2. სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებების გავლენის ინდიკატორები

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების სტრატეგიაში განსაზღვრული 7 პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს 7 გავლენის ინდიკატორს. მოცემულ თავში წარმოდგენილია აღნიშნული ინდიკატორების განვითარების დინამიკა. 1-ელი, მე-3, მე-4 და მე-6 პრიორიტეტული მიმართულებების გავლენის ინდიკატორები შეფასდა საქსტატზე ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე. მე-2 პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორი 2023 წელს გამოქვეყნებულ პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) შედეგებს ეფუძნება, ხოლო მე-5 და მე-7 პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორების შეფასებისას OECD-ის „SME Policy Index“ კვლევაა გამოყენებულია. აღნიშნული ინდიკატორის განახლება 2023 წლის ბოლოს ახალი ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმების მიხედვით, პირველი პრიორიტეტის - საკანონმდებლო დახვეწის, ინსტიტუციური გაძლიერებისა და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესების - გავლენის ინდიკატორად SME-ის მიერ გამოშვებული პროდუქციაა განსაზღვრული.

გრაფიკი 5-ის მიხედვით იკვეთება, რომ მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან გამოშვებაში, 2019 წელს 58 პროცენტიდან, 2022 წლისათვის 51 პროცენტამდეა შემცირებული. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ 2022 წელს, მცირე და საშუალო სექტორის გამოშვებამ, 36.9 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2019 წელთან შედარებით, 33 პროცენტიანი მატებაა.

სტრატეგიის მიხედვით, 2025 წლისათვის გამოშვების 20 პროცენტიანი ზრდაა დასახული მიზნად, რაც 2022 წელს ნომინალურ გამოხატულებაში უკვე მიღწეულია. სხვა შემთხვევების მსგავსად, აქაც მნიშვნელოვანია რეალური ზრდის გათვალისწინება.

გრაფიკი 5. მცირე და საშუალო საწარმოთა გამოშვება (მლნ. ლარი)



წყარო: საქსტატი

სტრატეგიის მეორე პრიორიტეტის, მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობის, გავლენის ინდიკატორად პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არის განსაზღვრული. აღნიშნული მაჩვენებელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) ანგარიშის შედეგებს ეყრდნობა.

სტრატეგია არაერთ აქტივობას მოიცავს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდის მიზნით, რაც მოსალოდნელია, რომ პოზიტიურად აისახება პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. 2019 წლის მონაცემებით, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელმა 49 პროცენტი შეადგინა. 2021 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ეს მაჩვენებელი 25 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი და კურსდამთავრებულთა 74 პროცენტს შეადგენს. სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მიხედვით, დასაქმების 65-პროცენტიანი სამიზნე მაჩვენებელი განისაზღვრა.

გრაფიკი 6. პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი



წყარო: კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) ანგარიში

სტრატეგიის მესამე პრიორიტეტი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. შესაბამის ინდიკატორად მცირე და საშუალო საწარმოების ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები განისაზღვრა.

2022 წელს, ბიზნეს სექტორის ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები 5.9 მილიარდი ლარი იყო, საიდანაც მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილმა 48% შეადგინა. 2020 წლისათვის 12 პროცენტიანი კლების შემდეგ, 2021-2022 წლებში დადებითი ტენდენცია დაფიქსირდა. ამასთანავე, 2019-2022 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 12 პროცენტით გაიზარდა და 2.8 მილიარდი ლარი შეადგინა, აქედან 1.5 მილიარდი მცირე და 1.3 მილიარდი საშუალო საწარმოებზე მოდის.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მიხედვით, ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების 15-პროცენტიანი ზრდა არის დასახული მიზნად, რაც 2025 წლამდე 2.9 მილიარდიანი ნიშნულის მიღწევას გულისხმობს.

გრაფიკი 7. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები (მლნ. ლარი)



წყარო: საქსტატი

მეოთხე პრიორიტეტის, რომელიც მიმართულია მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობაზე, გავლენის ინდიკატორს მცირე და საშუალო მეწარმეობის ექსპორტი წარმოადგენს. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია საწარმოთა გასვლა ექსპორტზე და მათი ინტერნაციონალიზაცია, რასაც წინ უძღვის საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდა.

2022 წლის მონაცემებით, მცირე და საშუალო მეწარმეთა ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 33 პროცენტს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით 5 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული. 2022 წელს მცირე და საშუალო საწარმოების წილმა, შესაბამისად, 16 პროცენტი და 17 პროცენტი შეადგინა.

2019 წელს მცირე მეწარმეობის ექსპორტმა 889 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო საშუალოს - 540 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2022 წლისთვის მკვეთრად, 938 მილიონ აშშ დოლარამდე, არის გაზრდილი საშუალო მეწარმეობის ექსპორტი, ხოლო მცირე მეწარმეობის ექსპორტის ზრდა უმნიშვნელოა და ექსპორტის მოცულობა- 899 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

გრაფიკი 8-ის მიხედვით2019-2020 წლებში ექსპორტის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი, 15%-იანი შემცირება გამოიკვეთა. მდგომარეობა გამოსწორებულია 2022 წლისათვის. მთლიანობაში, 2019-2022 წლებში მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტი 29 პროცენტით გაიზარდა.

სტრატეგიის მიხედვით, სამიზნე მაჩვენებლად 2025 წლისთვის 40-პროცენტიანი ზრდისა და 2 მილიარდიანი ნიშნულის მიღწევა განისაზღვრა. ამ ეტაპისთვის, მცირე და საშუალო მეწარმეობის ექსპორტი 1.8 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. 2025 წლამდე სამიზნე მაჩვენებლის მიღწევისათვის SME-ის ექსპორტის 9 პროცენტიანი ზრდა არის საჭირო.

გრაფიკი 8. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტი (მილიონი აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მეექვსე პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორს მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში დამფუძნებელ ქალ-მეწარმეთა წილი წარმოადგენს. საქსტატზე განთავსებული მონაცემების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, რეფორმეტრის გუნდის მიერ აღნიშნული ინდიკატორი რეგისტრირებულ ახალ საწარმოთა რაოდენობაში ქალი მფლობელების მაჩვენებლით ჩანაცვლდა.

მე-9 გრაფიკზე წარმოდგენილია ახალ საწარმოებში ქალი და კაცი მფლობელების განაწილება (შეფასებაში გათვალისწინებული არაა ის საწარმოები, რომელთა მფლობელის სქესი არაა იდენტიფიცირებული). 2019-2022 წლებში, ქალი მფლობელების რაოდენობის 34 პროცენტიანი ზრდის მიუხედავად, მათი წილი ახლად რეგისტრირებული საწარმოების მთლიან მფლობელებში, 34 პროცენტიდან 30 პროცენტამდე შემცირდა. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ 2019-2022 წლებში იგივე მაჩვენებელი კაცებისთვის 68 პროცენტით არის გაზრდილი.

2022 წელს ქალების მფლობელობის მაჩვენებელმა 19288 ახალი საწარმო შეადგინა, შედარებისთვის, ეს მაჩვენებელი კაცების შემთხვევაში 45862 საწარმოს შეადგენს.

სტრატეგიის საბოლოო მაჩვენებლად, მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში დამფუძნებელ ქალ-მეწარმეთა 40 პროცენტიანი წილის მიღწევაა განსაზღვრული. ახალ დარეგისტრირებულ საწარმოებში ქალების წილის დინამიკის გათვალისწინებით, ამ მიზნის მიღწევის პროცესში უარყოფითი ტენდენცია გამოიკვეთა.

გრაფიკი 9. რეგისტრირებულ ახალ საწარმოთა რაოდენობა მფლობელის სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი

სტრატეგიის მეხუთე და მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულებების გავლენის ინდიკატორებად OECD-ის SME პოლიტიკის ინდექსის კომპონენტები განისაზღვრა. ინდექსის სხვა კომპონენტები, ასევე გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული ამოცანების შედეგების ინდიკატორებად. შესაბამისად, ანგარიშის აღნიშნულ ნაწილში განვიხილავთ ინდექსის ყველა კომპონენტს. იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიის შემუშავების შემდეგ OECD-ის ახალი ანგარიში არ გამოქვეყნებულა, „რეფორმეტრის“ გუნდის მიერ პროგრესის შეფასება 2023 წლის ბოლოს ახალი „SME Policy Index“ გამოქვეყნების შემდეგ, მომდევნო საჯარო და კერძო დიალოგის ფარგლებში განხორციელდება.

2020 წლის პოლიტიკის ინდექსის მიხედვით საქართველოს რეგიონში საუკეთესო შესრულების მაჩვენებლები აქვს. ანგარიშის თანახმად, საქართველოს შეფასება და შესაბამისად ქულა (წინა 2016 წლის რეიტინგთან შედარებით) რეიტინგის 12 კომპონენტიდან 12-ვეში გაუმჯობესდა, ხოლო 12-დან 9 კომპონენტში ქვეყანა უმაღლესი ქულით შეფასდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის.

ამასთან, კვლევის თანახმად, საქართველომ განსაკუთრებით შთამბეჭდავი ნაბიჯები გადადგა სამეწარმეო სწავლებისა და მცირე და საშუალო მეწარმეობის ოპერაციული გარემოს გაუმჯობესების მიმართულებებით. კვლევის შედეგების მიხედვით, არსებობს შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: გადახდისუუნარობა და მეორე შანსი, მწვანე ეკონომიკა, ინოვაციები და ინტერნაციონალიზაცია.

სტრატეგიის მიხედვით, მეხუთე პრიორიტეტის - ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის - გავლენის ინდიკატორად OECD „SME Policy Index“ კვლევაში „SME Inovation Policy“ (SME ინოვაციური პოლიტიკა) კომპონენტში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება განისაზღვრა. OECD-ის აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს შეფასება 3.27 ქულას შეადგენს.

ასევე, მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მეშვიდე პრიორიტეტში, გავლენის ინდიკატორად, „SME Policy Index“-ის მწვანე ეკონომიკაში მცირე და საშუალო მეწარმეების კომპონენტში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება არის განსაზღვრული.

მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზანს მცირე და საშუალო საწარმოთა მწვანე ეკონომიკაში ჩართულობის ხელშეწყობა წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ OECD-ის კვლევაში „მწვანე ეკონომიკა" 3.05 ქულით იმ 3 კომპონენტშია, სადაც რეიტინგის მიხედვით, არსებობს გამოწვევები და შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პოტენციალი, რაც ქვეყნის მხრიდან ფოკუსირებულ მიდგომას და მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელებას საჭიროებს.

გრაფიკი 10. OECD "SME Policy Index" საქართველოს შეფასება



წყარო: SME Policy Index: Eastern Partner Countries 2020

3. SME რეფორმის პროგრესის შეფასების ზოგადი ინდიკატორები

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მიმართულებით მიღწეულ პროგრესზე დაკვირვების მიზნით, „რეფორმეტრის" გუნდის მიერ დამატებით სამი ინდიკატორი შეირჩა.

პირველი ინდიკატორი მცირე და საშუალო საწარმოებში შრომის თვიური ანაზღაურებაა. იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგია დასაქმების ხელშეწყობის არაერთ აქტივობას მოიცავს, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საქმიანობის შედეგები არა მხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობაზე, არამედ მათ ანაზღაურებაზეც აისახოს.

მე-11 გრაფიკის მიხედვით, იკვეთება, რომ 2019 წელს ბიზნეს სექტორში შრომის ანაზღაურებამ 1,161.7 ლარი შეადგინა, საშუალო ზომის საწარმოებში ანაზღაურება 1,416.8 ლარს გაუტოლდა, რაც აღემატებოდა, როგორც ბიზნეს სექტორის საშუალო მაჩვენებელს, ასევე მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას. მცირე ზომის საწარმოებში შრომის ანაზღაურების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 893.5 ლარი დაფიქსირდა.

2019-2022 წლებში ბიზნეს სექტორში ანაზღაურება 38 პროცენტით, საშუალო საწარმოებში - 31 პროცენტით, ხოლო მცირე საწარმოებში - 33 პროცენტით არის გაზრდილი. ამ პერიოდში ყველაზე მაღალი, 40 პროცენტიანი ზრდა მსხვილი საწარმოების შემთხვევაში ფიქსირდება.

ასევე, ხაზგასასმელია, რომ მზარდია მცირე და საშუალო საწარმოთა დასაქმებულების ანაზღაურებებს შორის განსხვავება. მაგალითისათვის, 2019 წელს განსხვავებამ 523 ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც 2023 წლის მეორე კვარტალისთვის ეს მაჩვენებელი 612 ლარამდე გაიზარდა.

გრაფიკი 11. მცირე და საშუალო საწარმოთა შრომის თვიური ანაზღაურება



წყარო: საქსტატი

იმის გათვალისწინებით, რომ SME სექტორის განვითარების ერთ-ერთ გამოწვევად ფინანსებზე ხელმისაწვდომობა რჩება, რეფორმის შედეგებზე დაკვირვების პროცესში მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემულ ბიზნეს სესხებთან დაკავშირებული ინდიკატორების გათვალისწინებაც. შესაბამისად, SME განვითარების რეფორმის მიმდინარეობის შეფასების მეორე და მესამე ინდიკატორებს მცირე და საშუალო მეწარმეობის დაკრედიტება და გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთები წარმოადგენს.

მე-12 გრაფიკში იკვეთება, რომ 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხების მოცულობამ 7 მილიარდი ლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წლის სექტემბრისთვის 43%-ით გაიზარდა და 10 მილიარდ ლარს მიაღწია. მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხების მოცულობის ზრდის მიუხედავად, 2019-დან 2022 წლამდე მათი წილი მთლიან ბიზნეს სესხებში 40 პროცენტიდან 36 პროცენტამდეა შემცირებული.

გრაფიკი 12. SME სესხების წილი მთლიან ბიზნეს-სესხებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბიზნეს სესხებში მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხების წილის შეფასებასთან ერთად, საინტერესოა SME-ზე გაცემული სესხებისა და მსხვილ საწარმოებზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების შედარება. გრაფიკ 13-ში წარმოდგენილია 2019-2023 წლებში (თვეების მიხედვით) კომერციული ბანკების მიერ მცირე და საშუალო, ასევე მსხვილ საწარმოებზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების საშუალო მაჩვენებლები ვალუტის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ 2019-2023 წლებში მსხვილ საწარმოებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, 2019 წლის იანვარში 10.51 პროცენტიდან, 2023 წლის სექტემბრისთვის 13.47 პროცენტამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში მცირე და საშუალო საწარმოებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მაჩვენებელი, 2019 წლის იანვარში 15.8 პროცენტიდან, 2023 წლის სექტემბრისთვის 13.59 პროცენტამდე შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის საპროცენტო განაკვეთის შემცირების, ხოლო მსხვილი საწარმოებისთვის - ზრდის შედეგად, ეროვნულ ვალუტაში გაცემული ბიზნეს სესხების საპროცენტო განაკვეთი საშუალო მაჩვენებლებში გათანაბრდა.

დამატებით, ხაზგასასმელია, რომ 2019-2022 წლების პერიოდში, SME-სა და მსხვილ საწარმოებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებს შორის მცირე განსხვავება ფიქსირდება. 2019 წელს SME და მსხვილი საწარმოების საპროცენტო განაკვეთები 0.6 პროცენტით განსხვავებოდა (მსხვილი 7.85 პროცენტი, ხოლო მცირე 7.23 პროცენტი). 2023 წლისთვის განსხვავება კიდევ უფრო შემცირდა. მსხვილ საწარმოებზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთმა 9 პროცენტი, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებზე - 8.95 პროცენტი შეადგინა.

გრაფიკი 13. საპროცენტო განაკვეთები SME-ზე გაცემულ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დანართი N1. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი

რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა

1. რამდენად შეესაბამება მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზნები სექტორში არსებულ გამოწვევებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

2. როგორ შეაფასებდით სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

რეფორმის პროგრესი

3. როგორ შეაფასებდით მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მიმართულებით დღეის მდგომარეობით გატარებულ ღონისძიებებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

4. რამდენად უწყობს ხელს სტრატეგიის ფარგლებში გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემზღუდველი ფაქტორების დაძლევას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

არსებული ვითარება

5. როგორ შეაფასებდით მცირე და საშუალო მეწარმეობის ამჟამინდელ მდგომარეობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

მოსალოდნელი შედეგები

6. მოხდება თუ არა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელებით დასახული მიზნების მიღწევა?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

7. არის თუ არა სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები დასახული მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზა?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

დანართი N2. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმის საჯარო-კერძო დიალოგის შეხვედრაზე წარმოდგენილი პრეზენტაციები

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

რეფორმეტრი

შენი გზამკვლევი რეფორმებში

შენიშვნა: *ამ პრეზენტაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. პრეზენტაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.*

პროექტის შესახებ

- რეფორმეტრის მიზანია შერჩეული ეკონომიკური რეფორმების პროგრესის ანალიზი, რეფორმით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და რეფორმის განმახორციელებელი სამთავრობო უწყებების მხარდაჭერა რეფორმის ცნობადობის და ეფექტიანობის ასამაღლებლად.
- რეფორმეტრის პირველი ფაზა: 2015-2019 წლები
- პროექტის ახალი ეტაპი: 2021-2024 წლები
- სამიზნე რეფორმები:
  - კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმა
  - გადახდისუუნარობის რეფორმა
  - წყლის რესურსების მართვის რეფორმა
  - ელექტრონული კომერციის რეფორმა
  - ტურიზმის რეფორმა
  - რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმა
  - მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმა

პროექტის მეთოდოლოგია

1. **სამთავრობო კვლევა** - რეფორმის დანერგვაში ჩართული უწყებების მიერ რეფორმის პროგრესის შეფასება;

2. **დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა** - კერძო, საჯარო და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან დაინტერესებულ პირთა მიერ რეფორმის და მისი პროგრესის შეფასება;

3. **ეკონომიკური ინდიკატორები** - პროექტის გუნდის მიერ იდენტიფიცირებული ინდიკატორები რეფორმის მიმდინარეობასა და მიღებულ შედეგებზე დასაკვირვებლად.

SME სტრატეგიის განხორციელების პროგრესი - სამთავრობო კვლევის შედეგები



SME სტრატეგიის განხორციელების პროგრესი

სამართლებრივი ჩარჩო - 21 აქტივობა

50.4%

5

განხორციელებული

- ახალი საბაჟო კოდექსის აღსრულების ნორმატიული აქტების მიღება
- მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის რეგულაციის დანერგვა

13

მიმდინარე

- ვენჩერული კაპიტალის ფონდები ჩარჩოს შემუშავება
- ფაქტორინგის კანონპროექტის მიღება
- სახალხო დაფინანსების ჩარჩოს მიღება
- გირავნობის ბაზის გაფართოება
- ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება

3

სამომავლო

SME სტრატეგიის განხორციელების პროგრესი

ინსტიტუციური მოწყობა - 43 აქტივობა

56.8%

15

განხორციელებული

- RIA SME ტესტის კონცეფციის შემუშავება
- სახელმწიფო პროგრამების გავლენის შეფასების ჩარჩოს შემუშავება

19

მიმდინარე

- პროგრამების და მხარდამჭერი მექანიზმების შეფასება
- პროფესიულ განათლებაში დუალური მიდგომის დანერგვა
- საწარმოთა მოთხოვნის კვლევების განხორციელება
- უნარების პროგნოზირების მაკროეკონომიკური მოდელის შემუშავება
- „აწარმოე საქართველოში" პროგრამების განახლება

9

სამომავლო

- მენეჯმენტისა და აუდიტის სფეროში ევროპული აკრედიტაციის აღიარების გაფართოება
- საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გაანგარიშება საწარმოთა ზომის ჭრილში
- Imis.gov.ge ახალი კონცეფციის შემუშავება

SME სტრატეგიის განხორციელების პროგრესი

ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი - 41 აქტივობა

49.1%

5

განხორციელებული

- ახალი ექსპორტის სტიმულირების პროგრამის შექმნა
- ინოვაციების თანადაფინანსების 650 000 ლარიანი გრანტებისა და საპილოტე რეგიონებში ინოვაციური საგრანტო პროგრამის განხორციელება

27

მიმდინარე

- მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის გრანტების გაცემა

9

სამომავლო

- ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების განახლება
- SAFE ინსტრუმენტის დანერგვა
- ინფრასტრუქტურის მშენებლობაში მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების დახმარება

SME სტრატეგიის განხორციელების პროგრესი

კომპეტენციების გაძლიერება - 83 აქტივობა



41.1%

18

განხორციელებული

- მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა
- მოსახლეობის და საწარმოების ციფრული საჭიროებების შეფასების კვლევა სამიზნე რეგიონში
- კერძო სექტორის ტრეინინგები კონკურენციის, შრომის უსაფრთხოების, ელ.კომერციის და სხვა საკითხებზე

35

მიმდინარე

- ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსი
- საინფორმაციო ტექნოლოგიებში გადამზადების პროგრამა (5000 IT სპეციალისტი)
- SME-ს მხარდამჭერი უწყებების თანამშრომელთა გაძლიერება

30

სამომავლო

- RIA SME Test-ის პილოტის განხორციელება
- ევროპის სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩოს დანერგვა
- VET მასწავლებლების გადამზადება
- საერთაშორისო გამოფენებში მხარდაჭერილი კომპანიების უკუკავშირის კვლევის ჩატარება

სტრატეგიის შეფასების ინდიკატორები

სამიზნე ინდიკატორები

- დამატებული ღირებულება საწარმოთა ზომის მიხედვით
- მწარმოებლურობა საწარმოთა ზომის მიხედვით
- დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით

გავლენის ინდიკატორები

- პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომის მიხედვით
- პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
- ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საწარმოთა ზომის მიხედვით
- საქართველოს ექსპორტი მოვაჭრე სუბიექტების ზომის მიხედვით
- მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში დამფუძნებელ ქალ-მეწარმეთა წილი
- OECD SME პოლიტიკის ინდექსი

ზოგადი ინდიკატორები

- დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება საწარმოთა ზომის მიხედვით
- SME სესხების წილი მთლიან ბიზნეს-სესხებში
- საპროცენტო განაკვეთები SME-ზე გაცემულ სესხებზე

SME განვითარების სტრატეგიის სამიზნე ინდიკატორები

მცირე და საშუალო საწარმოების სტატისტიკის მიმოხილვა

ინდიკატორი	ცვლილება 2019-2022
დამატებული ღირებულება	32%
მწარმოებლურობა	39%
ბრუნვა	29%
ინფლაცია (მშპ-ს დეფლატორის მიხედვით, 2019)	29%
დასაქმება	- 5%

SME განვითარების სტრატეგიის სამიზნე ინდიკატორები

დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)



წყარო: საქსტატი

SME განვითარების სტრატეგიის სამიზნე ინდიკატორები

მწარმოებლურობა





წყარო: საქსტატი

SME განვითარების სტრატეგიის სამიზნე ინდიკატორები

დასაქმებულთა რაოდენობა



წყარო: საქსტატი

SME განვითარების სტრატეგიის გავლენის ინდიკატორები

1.1. გამოშვებული პროდუქცია (მლნ. ლარი)



წყარო: საქსტატი

SME განვითარების სტრატეგიის გავლენის ინდიკატორები

2.1. პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი



წყარო: კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) ანგარიში

SME განვითარების სტრატეგიის გავლენის ინდიკატორები

3.1. ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში



წყარო: საქსტატი

SME განვითარების სტრატეგიის გავლენის ინდიკატორები

4.1. ექსპორტი (მილიონი აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

SME განვითარების სტრატეგიის გავლენის ინდიკატორები

6.1. მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში დამფუძნებელ ქალ-მეწარმეთა წილი/ რეგისტრირებულ ახალ საწარმოთა რაოდენობა მფლობელის სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი

SME განვითარების სტრატეგიის გავლენის ინდიკატორები

5.1. & 7.1. OECD “SME Policy Index” საქართველოს შეფასება



წყარო: საქსტატი

SME განვითარების ზოგადი ინდიკატორები

დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება



წყარო: საქსტატი

SME განვითარების ზოგადი ინდიკატორები

SME სესხების წილი მთლიან ბიზნეს-სესხებში



წყარო: საქსტატი

SME განვითარების ზოგადი ინდიკატორები

საპროცენტო განაკვეთები SME-ზე გაცემულ სესხებზე



წყარო: საქსტატი

გმადლობთ

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

რეფორმეტრი

შენი გზამკვლევი რეფორმებში

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

2021
2025

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია

2021–2025 წწ

მცირე და საშუალო საწარმოთა განაწილება ზომების მიხედვით

სტატისტიკური მაჩვენებლები	2022 წ.
SME წილი მთლიან მოქმედ საწარმოებში (%)	99.7%



საწარმოს ტიპი	დასაქმება წლიურად	ბრუნვა ფისკალური წლის განმავლობაში
მცირე	50-მდე დასაქმებული	არაუმეტეს 12 მლნ. ლარისა
საშუალო	50-დან 250-მდე დასაქმებული	12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია (2021-2025 წწ)

2021 წელს დამტკიცდა „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის და შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა (*საქართველოს მთავრობის დადგენილება N351, 13.07.2023)*

მიზანი

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანია პანდემიამდე არსებული დადებითი ტენდენციების აღდგენა და მცირე და საშუალო მეწარმეობის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

სამიზნე მაჩვენებლები 2025 წლისთვის (საბაზისო წელი - 2019წ.)

- მცირე და საშუალო საწარმოების დამატებულ ღირებულების ზრდა **20%-ით**;
- მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა **10%-ით;**
- მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობის ზრდა **20%-ით.**

*სტრატეგია ეფუძნება „ევროპული მცირე ბიზნესის აქტის“ (SBA) უმნიშვნელოვანეს პრინციპს: **„უპირველესად იფიქრე მცირეზე“** (Think Small First) და მასში გათვალისწინებულია SBA-ს ყველა პრინციპი და ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის კუთხით*

სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

7 პრიორიტეტული მიმართულება, 42 ამოცანა, 7 გავლენის ინდიკატორი, 84 ამოცანის ინდიკატორი

1 საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება

- 8 ამოცანა

2 უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

- 7 ამოცანა

3 ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

- 6 ამოცანა

4 ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

- 4 ამოცანა

5 ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

- 6 ამოცანა

6 ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

- 5 ამოცანა

7 მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

- 6 ამოცანა

სამოქმედო გეგმა

7 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება

42 ამოცანა

84 ამოცანის შედეგის ინდიკატორი

94 აქტივობა (2021)

97 აქტივობა (2022)

	I	II	III	IV	V	VI	VII
	საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება	SME უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა	ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება	SME ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა	ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა	ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
	8 ამოცანა	7 ამოცანა	6 ამოცანა	4 ამოცანა	6 ამოცანა	5 ამოცანა	6 ამოცანა
	20 ინდიკატორი	13 ინდიკატორი	13 ინდიკატორი	9 ინდიკატორი	11 ინდიკატორი	8 ინდიკატორი	10 ინდიკატორი
2021	24 აქტივობა	16 აქტივობა	22 აქტივობა	9 აქტივობა	8 აქტივობა	10 აქტივობა	5 აქტივობა
2022	22 აქტივობა	16 აქტივობა	17 აქტივობა	11 აქტივობა	8 აქტივობა	7 აქტივობა	16 აქტივობა

სტრატეგიის 2021 და 2022 წლების სამოქმედო გეგმის შესრულება

სტრატეგიის 2021 და 2022 წლების სამოქმედო გეგმების შესრულება **დადებითი ტენდენციით** ხასიათდება

2021 წელი

94 აქტივობიდან:

- ✓ **85 აქტივობა** შესრულდა სრულად
- ✓ **6 აქტივობა** შესრულდა მეტწილად
- ✓ **1 აქტივობა** შესრულდა ნაწილობრივ
- ✓ **2 აქტივობა** არ შესრულდა

2022 წელი

97 აქტივობიდან:

- ✓ **77 აქტივობა** შესრულდა სრულად
- ✓ **12 აქტივობა** შესრულდა მეტწილად
- ✓ **6 აქტივობა** შესრულდა ნაწილობრივ
- ✓ **2 აქტივობა** არ შესრულდა

2022 წლის სამოქმედო გეგმის აქტივობათა შესრულების სტატუსი პრიორიტეტების მიხედვით და შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები

1 — **22 აქტივობა**
- განხორციელდა: 18 აქტივობა
- მეტწილად შესრულდა: 1 აქტივობა
- ნაწილობრივ შესრულდა: 1 აქტივობა
- არ დაწყებულა: 2 აქტივობა

2 — **16 აქტივობა**
- განხორციელდა: 14 აქტივობა
- მეტწილად შესრულდა: 2 აქტივობა

3 — **17 აქტივობა**
- განხორციელდა: 13 აქტივობა
- მეტწილად შესრულდა: 3 აქტივობა
- ნაწილობრივ შესრულდა: 1 აქტივობა

4 — **11 აქტივობა**
- განხორციელდა: 11 აქტივობა

5 — **8 აქტივობა**
- განხორციელდა: 6 აქტივობა
- მეტწილად შესრულდა: 1 აქტივობა
- ნაწილობრივ შესრულდა: 1 აქტივობა

6 — **7 აქტივობა**
- განხორციელდა: 5 აქტივობა
- მეტწილად შესრულდა: 2 აქტივობა

7 — **16 აქტივობა**
- განხორციელდა: 10 აქტივობა
- მეტწილად შესრულდა: 3 აქტივობა
- ნაწილობრივ შესრულდა: 3 აქტივობა



სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ლოგიკური ჩარჩოს ფარგლებში განსაზღვრული გავლენის ინდიკატორების შესრულების სტატუსი

პრიორიტეტი 1: საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება

გავლენის ინდიკატორი 1.1:	SMEs მიერ გამოშვებული პროდუქცია	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	დადასტურების წყარო
		27.7 მლრდ. ლარი	ზრდა 20%	საქსტატი

GEOSTAT 2022
ზრდა 33%

პრიორიტეტი 2: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

გავლენის ინდიკატორი 2.1:	პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) ანგარიშის თანახმად	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	დადასტურების წყარო
		62%	65%	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) ანგარიში

Tracer Study-ის ანგარიში -2023

74% (2021 წ)

სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ლოგიკური ჩარჩოს ფარგლებში განსაზღვრული გავლენის ინდიკატორების შესრულების სტატუსი

პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

გავლენის ინდიკატორი 3.1:	მცირე და საშუალო საწარმოების ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	დადასტურების წყარო
		2.5 მლრდ. ლარი	ზრდა 15%	საქსტატი

GEOSTAT 2022
ზრდა 12%

პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

გავლენის ინდიკატორი 4.1:	მცირე და საშუალო მეწარმეობის ექსპორტი	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	დადასტურების წყარო
		1.9 მლრდ. ლარი	40% ზრდა	საქსტატი

GEOSTAT 2022
ზრდა 29%

პრიორიტეტი 5: ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

გავლენის ინდიკატორი 5.1:	OECD "SME Policy Index" კვლევაში „SME Inovation Policy" ინდიკატორში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	დადასტურების წყარო
		3.27	გაუმჯობესებული/შენარჩუნებული მაჩვენებელი	OECD „SME Policy Index" Report

OECD "SME Policy Index-2024"

Innovation policy for SMEs - **3.44**

სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ლოგიკური ჩარჩოს ფარგლებში განსაზღვრული გავლენის ინდიკატორების შესრულების სტატუსი

პრიორიტეტი 6: ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა				
გავლენის ინდიკატორი 6.1:	მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში დამფუძნებელ ქალ-მეწარმეთა წილი	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	დადასტურების წყარო
		36%	40%	საქსტატი

მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში დამფუძნებელ ქალ მეწარმეთა წილი - 38% (GEOSTAT).
2022 წელს ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა 27% ქალებზე მოდის, წინა წელთან შედარებით 37%-იანი ზრდაა

პრიორიტეტი 7: მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა				
გავლენის ინდიკატორი 7.1:	OECD “SME Policy Index” კვლევაში “მწვანე ეკონომიკაში მცირე და საშუალო მეწარმეები“ ინდიკატორში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	დადასტურების წყარო
		3.05	გაუმჯობესებული/შენარჩუნებული მაჩვენებელი	OECD “SME Policy Index” ანგარიში

OECD “SME Policy Index-2024”

Green economy policies for SMEs - **3.08**

პირველი პრიორიტეტული მიმართულება

- რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) სისტემის განვითარებისა და RIA SME Test-ის ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, UNDP-ის მხარდაჭერით და ISET-თან თანამშრომლობით შემუშავდა RIA SME Test პრაქტიკული სახელმძღვანელო და საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა ტრენინგები;

- ქვეყანაში დავების გადაწყვეტის მიუკერძოებელი და სანდო ალტერნატიული მექანიზმების განვითარების მიზნით განხორციელდა საარბიტრაჟო დავების და მედიაციის პროცესის ადმინისტრირება. ჩატარდა სემინარები და შეხვედრები დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით;

პირველი პრიორიტეტული მიმართულება

- ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე my.gov.ge განხორციელდა ახალი სერვისების ინტეგრაცია;
- შემოსავლების სამსახურის მიერ აღირიცხა სერვისები და მომზადდა ელექტრონული კატალოგი. თვითმომსახურების წახალისებისთვის, მომზადდა სერვისის მოხმარების სახელმძღვანელოები, როგორც საბაჟო, ისე საგადასახადო მიმართულებით;
- „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" კანონის საფუძველზე, გაიზარდა რეაბილიტაციის რეჟიმზე გადასვლის მაჩვენებელი და 35%-ს გაუტოლდა;
- საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები. გაიმართა სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის გაფართოებული სხდომა;
- ვებ-გვერდზე dcfta.gov.ge გასაჯაროვდა ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაახლოების პროგრამით გათვალისწინებული აქტები.

მეორე პრიორიტეტული მიმართულება

- საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩატარდა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“, „ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორების შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“ და მომზადდა „შრომის ბაზრის წლიური ანალიზი“. შრომის ბაზრის ტენდენციებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ფუნქციონირებს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა (lmis.gov.ge);
- სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში“ შექმნილია და ფუნქციონირებს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა (WorkNet). სისტემაში დარეგისტრირდა და ინდივიდუალური კონსულტირება გაეწია სამუშაოს მაძიებლებს. დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით, განხორციელდა შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება. ჩატარდა დასაქმების ფორუმები, შედეგად დასაქმდნენ სამუშაოს მაძიებლები;

მეორე პრიორიტეტული მიმართულება

- საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადდა განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია (2023-2026 წწ.) და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. დაინერგა დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;

- პროფესიული სასწავლებლების სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა კონცეფცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესახებ.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება

- „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ, საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში გაიცა სესხებზე გარანტია. მიკრო და მცირე მეწარმეები დაფინანსდნენ მიკრო გრანტებით. სააგენტოს მიერ შეიქმნა ახალი „ექსპორტის სტიმულირების პროგრამა“ და განახლდა 3 პროგრამა;
- სოფლის განვითარების სააგენტოს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში განხორციელდა პროექტები: სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, დაფინანსდა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების ინფრასტრუქტურის შექმნა, მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა და სხვა.

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება

- სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ მხარდაჭერილ იქნა კომპანიების მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებსა და ღონისძიებებში. სააგენტოს მიერ განხორციელდა ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების ტრენინგ კურსები;
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, მეწარმეებს ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწიათ ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე. პალატამ ორგანიზება გაუწია ბიზნეს ფორუმის ჩატარებას საქართველოსა და საზღვარგარეთ, უზრუნველყო საზღვარგარეთ დაგეგმილი საერთაშორისო გამოფენების შესახებ მეწარმეთა ინფორმირება და ქართველ მეწარმეთა მონაწილეობა აღნიშნულ გამოფენებზე;
- „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ და 500 Georgia, LLC-ს საინვესტიციო ფონდს შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება

- სსიპ საქართველოს ეროვნული აკრედიტაციის ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი გახდა ILAC-ის და IAF-ის სრულუფლებიანი წევრი და მრავალმხრივი აღიარების ხელმომწერი;
- ხარისხის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სტანდარტად მიღებული იქნა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები;
- საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) მეტროლოგიის ინსტიტუტის სხვადასხვა ლაბორატორიები აღიჭურვა უახლესი დანადგარებით, ხოლო ინსტიტუტის შესაბამის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი ახალი მიმართულების სერვისების დაფარვის მიზნით.

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულება

- ინოვაციური სტარტაპების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის, ინოვაციური პროდუქტების განვითარებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მცირე გრანტების, სტარტაპებისთვის თანადაფინანსების გრანტების და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების გაცემა;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ელექტრონული კომერციის საკითხებსა და სხვადასხვა ციფრულ სერვისთან დაკავშირებით. „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში გადამზადდნენ IT სპეციალისტები;
- „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ რეგიონალურ ცენტრებსა და ტექნოპარკებში, ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგები დამწყები სპეციალისტებისთვის ფრონტ-ენდ დეველოპმენტში, სოციალურ მედია მენეჯმენტსა და ქოფირაითინგში და გრაფიკულ დიზაინში;

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულება

- ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაიზარდა ინტერნეტ ქსელებით დაფარული პუნქტების რაოდენობა. ქვეყნის მასშტაბით, 2021-2022 წლებში აშენებულია 300 კმ. სიგრძის ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელი;
- ქვეყნის მასშტაბით მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს აქტივობები პროექტის „Log-in Georgia" ფარგლებში. მაღალმთიან რეგიონში ხორციელდება სათემო ინტერნეტიზაციის პროექტი;
- გატარდა ღონისძიებები ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მიზნით და შედეგად, 1 პროექტი კომერციალიზაციის ეტაპზე გადავიდა.

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება

- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები „ქალთა გაძლიერების პრინციპების“ (WEPs) პოპულარიზაციის მიზნით, ჩატარდა ტრენინგები ქალი მეწარმეებისთვის ელექტრონული კომერციის საკითხებთან დაკავშირებით.
- გაიმართა ღონისძიება „დარეკე ზარი გენდერული თანასწორობისთვის“.
- ჩატარდა შეხვედრები ქალი მეწარმეებისთვის სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალ მეწარმეთა პრიორიტეტიზაცია, რის შედეგადაც დაფინანსებულ მეწარმეთა 50% ქალია;
- UN Women-ის მხარდაჭერით საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „გენდერული გავლენის შეფასება“ (GIA).

მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულება

- OECD-ის და WB-ის ხელშეწყობით დაიწყო მწვანე ზრდის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი;
- მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა საინფორმაციო სესიები. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და სიდა/გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ 8 კომპანიაში დაინერგა ეკო-ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებული ახალი ბიზნეს მოდელები;
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია საქართველოსთვის - 2022“, რომელიც ადგენს მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხების საერთო განმარტებას;
- საქართველოს კანონები - „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“, „ენერგოეფექტურობის შესახებ“, „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“, შეესაბამება 2010/31/EU დირექტივას და „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ - შეესაბამება ევროპულ დირექტივებს. ამასთან, მომზადდა და დამტკიცდა კანონებიდან გამომდინარე შესაბამისი აქტები.

მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულება

- ეროვნული სატყეო სააგენტოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მომზადდა „საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია 2020-2030“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმა;
- განხორციელდა აქტივობები ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, კერძოდ, მოეწყო საგანმანათლებლო და საფეხმავლო ბილიკები, შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები;
- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, აშენდა 3 ტურისტული თავშესაფარი და ექვსი დაცული ტერიტორიისთვის მომზადდა ვიზიტორთა თავშესაფრის პროექტი;
- ნარჩენების მართვის სფეროში კანონით დაკისრებული მოთხოვნებისა და სტანდარტების შესახებ ბიზნესის ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა „გარემოსდაცვითი მმართველის“ სასწავლო კურსები. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, ჩატარდა ტრენინგები.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, USAID G4G

რეფორმეტრი
თითოეული რეფორმის კვალდაკვალ



SME-ის სტრატეგიის შესრულება შეფასება:

100 %-ით შესრულდა

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა რეფორმას მაქსიმალური 10 ქულიდან 6.89 დაუწერა

შეფასებამ აჩვენა, რომ რეფორმის მიმართ განწყობა და მოლოდინები პოზიტიურია

ეკონომიკის სამინისტროსთვის გადმოცემული ჯილდო
18 ივლისი, 2019

სტრატეგიის იმპლემენტაციის თაობაზე OECD-ის შეფასება:

- *OECD-ის მიერ საქართველო დასახელდა, როგორც **წარმატებული, სამოდელო ქვეყანა** მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის და სტრატეგიის იმპლემენტაციის კუთხით;*
- *აღინიშნა, რომ მცირე და საშუალო საწარმოები კვალდაკვალ მიყვებიან მსხვილ კომპანიებს მზარდი ხარისხის სამუშაო ადგილების შექმნისა და მათში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ზრდის თვალსაზრისით.*

OECD

მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსის ინდიკატორები

„SME Policy Index“ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს 5 სფეროს ფარგლებში 12 მიმართულებით აფასებს

1. პასუხისმგებლიანი მთავრობა
2. სამეწარმეო ადამიანისეული კაპიტალი
3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
4. ბაზარზე წვდომა
5. ინოვაციები და ბიზნესის მხარდაჭერა

- ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩო
- ოპერაციული გარემო
- გადახდისუუნარობა და მეორე შანსი

- სამეწარმეო სწავლება და ქალთა მეწარმეობა
- მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარები

– ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

- სახელმწიფო შესყიდვები
- სტანდარტები და ტექნიკური რეგულაციები
- მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია

- ბიზნესის ხელშემწყობი სერვისები
- ინოვაციური პოლიტიკა
- მწვანე ეკონომიკის პოლიტიკა

2024 წელი

- ✓ საქართველოს საშუალო ქულა - 4.0
- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საშუალო ქულა - 3.4

მადლობა ყურადღებისთვის

პროგრამების ეკონომიკური ზეგავლენის ანგარიში

ბიზნესის განვითარება

PRODUCE IN GEORGIA

ექსპორტის მხარდაჭერა

TRADE WITH GEORGIA

ინვესტიციების მოზიდვა

INVEST IN GEORGIA

გავლენის შეფასების ჩარჩო (IAF)

პროცესი

- ინდიკატორების კატალოგის შემუშავება ✓
- მონაცემთა ბაზების შემუშავება ✓
- „ბექ“ სისტემის დანერგვა ✓
- I ფაზა ✓
- ანალიტიკური სისტემის დანერგვა ✓
- IAF პროგრამის სრული ჩაშვება ✓

გავლენა

მეწარმეობის ხელშეწყობა

- ბენეფიციარების კონტრიბუცია მშპ-ში
- სააგენტოს მხარდაჭერის მნიშვნელობა ბენეფიციარების ზრდასა და ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში
- ვადაგადაცილებული სესხების წილი პორტფელში (NPLs)

ექსპორტის ხელშეწყობა

- ბენეფიციარი კომპანიების ექსპორტის ზრდა და დივერსიფიკაციის გაუმჯობესება
- საწარმოების საერთაშორისო გაყიდვების პროცესების გაუმჯობესება
- პროდუქტები და სერვისები უკეთ შეესაბამება უცხოური ბაზრების საჭიროებებს

ინვესტიციების ხელშეწყობა

- სააგენტოს კონტრიბუცია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში
- არსებული ინვესტორების მიერ რეინვესტირების მხარდაჭერა
- სააგენტოს როლი სექტორებში ინვესტიციების მოცულობაში

შედეგი

- პროგრამების ეფექტიანობის შეფასება
- შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება

მიკრო გრანტების პროგრამა

სააგენტოს პორტფელი

განხორციელების პერიოდი	2015-2023
პროექტების რაოდენობა	9,366
გრანტის მოცულობა (მლნ ლარი)	116
სამუშაო ადგილები	23,874

მიკრო გრანტების პროგრამა



სააგენტოს დახმარების გარეშე საქმიანობის დაწყება



გადარჩენის მაჩვენებელი, პროდუქტიულობა და დასაქმება

43%

საშუალო დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა

85%

გადარჩენის მაჩვენებელი

19%

ბენეფიციართა პროდუქტიულობის ზრდა

სესხის პროცენტის სუბსიდირების პროგრამები

სააგენტოს პორტფელი

განხორციელების პერიოდი	2014-2023
პროექტების რაოდენობა	2,109
სესხის მოცულობა (მლრდ ლარი)	2.2
ინვესტიცია (მლრდ ლარი)	3.5
სამუშაო ადგილები	38,235

სააგენტოს დახმარების გარეშე საქმიანობის დაწყება



სააგენტოს პორტფელის შემოსავლების და აქტივების ზრდა

SME სეგმენტის შემოსავლების ზრდა *vs* სააგენტოს პორტფელის შემოსავლების ზრდა



SME სეგმენტის აქტივების ზრდა *vs* სააგენტოს პორტფელის აქტივების ზრდა



ფინანსური მაჩვენებლები - დამამუშავებელი მრეწველობა

EBITDA მარჟა



წმინდა მოგების მარჟა



კომპონენტის ეფექტი

1₾

თანადაფინანსება

14.0

დამატებითი
შემოსავალი

4.2 ₾

დამატებითი
კონტრიბუცია მშპ-ში*

1.5 ₾

გადასახადები ბიუჯეტში
ერთ წელში**

საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი

სააგენტოს პორტფელი

განხორციელების პერიოდი	2020-2023
პროექტების რაოდენობა	974
საკრედიტო საგარანტიო მექანიზმის მხარდაჭერით გაცემული სესხების მოცულობა (მლნ ლარი)	733
სამუშაო ადგილები	13,638

სააგენტოს დახმარების გარეშე საქმიანობის დაწყება



SME vs სააგენტოს პორტფელი

SME სეგმენტის შემოსავლების ზრდა *vs* სააგენტოს პორტფელის შემოსავლების ზრდა



SME სეგმენტის აქტივების ზრდა *vs* სააგენტოს პორტფელის აქტივების ზრდა



ფინანსური მაჩვენებლები - დამამუშავებელი მრეწველობა





0.7%

გადეფოლტების მაჩვენებელი

ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამა

სააგენტოს პორტფელი

განხორციელების პერიოდი	2014-2022
საერთაშორისო ღონისძიებებისა და გამოფენების რაოდენობა	114
საერთაშორისო ღონისძიებებზე დაფინანსებების რაოდენობა	813
გადამზადებულ ექსპორტის მენეჯერთა რაოდენობა	418
TradewithGeorgia.com-ზე რეგისტრირებულ კომპანიათა რაოდენობა	731

ღონისძიებების გეოგრაფიული განაწილება



2022

ევროპა - 12 | აზია - 4 | ევროპ 12 | ჩრდილოეთ ამერიკა - 3 | სუ | ... | ... - 2 | აფრიკა - 1

B2B შეხვედრები (2021-2022)

ყოველი

მე-8

ახალ პარტნიორთან
შეხვედრა შედეგიანია

ყოველი

მე-2

არსებულ
პარტნიორებთან
შეხვედრა შედეგიანია

ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის შედეგები

ექსპორტის მოცულობა

111 კომპანია



შეძლებდნენ თუ არა დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღებას



ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსები

76%

იყენებს მიღებულ ცოდნას ყოველდღიურ საქმიანობაში

4.2/5

კმაყოფილების მაჩვენებელი

საკონსულტაციო ცენტრები

I. საკონსულტაციო მომსახურება

მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზება და ამ მომსახურების თანადაფინანსება.

II. ბიზნეს უნარების გაუმჯობესება

მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული სემინარების, ტრენინგების და სხვა სასწავლო პროგრამების შეთავაზება.

III. საინფორმაციო მომსახურება

ინფორმაციის მიწოდება ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ, იქნება ეს სახელმწიფო თუ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული.



დაგეგმილი პროგრამები

სავალო ფასიანი ქაღალდების (Bond) გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსება

კომპანიები მიიღებენ მხარდაჭერას, რათა დაფარონ სავალო ფასიან ქაღალდის გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა საკრედიტო რეიტინგის ხარჯი, წარმატებით განთავსების საკომისიო და სხვა.

წილობრივი/სააქციო (Equity) კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა

მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, სააგენტო გეგმავს მხარდამჭერი ჩარჩოს შემუშავებას ქვეყნაში წილობრივი/სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის.

აქტივებით უზრუნველყოფილი დაფინანსების (Asset Based Finance) განვითარება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სააგენტოსთან ერთად მუშაობს საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაზე და ახალი პროგრამის შემუშავებაზე, რომელიც წაახალისებს კომპანიებს, გამოიყენონ ფაქტორინგი, როგორც დაფინანსების ალტერნატიული წყარო.

მიკრო სესხების პროგრამა

მცირე მეწარმეების საჭიროებებზე მორგებული პროგრამის შემუშავება

ექსპორტის ხელშეწყობის ფინანსური ინსტრუმენტები

აკრედიტივი - პროდუქტთან დაკავშირებული საკომისიოს თანადაფინასება, საექსპორტო სესხი - საექსპორტო სესხის პროცენტის სუბსიდირება და გარანტია



აწარმოე საქართველოში

მ ა დ ლ ო ბ ა